186
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1978 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

16. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის შესახებ
17. ქ. კ. მაღალაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
18. ქალაქ თბილისში გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის აგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის №250 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
20. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის გადაცემის შესახებ.
21. **საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურული სქემის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
22. ანაკლიის მეკამეჩოების საბჭოთა მეურნეობისათვის სახორცე-სარძეო მიმართულების დაწესების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 2

23. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
24. იხ. 1978 წლის 31 მარტის № 172 დადგენილება.
25. ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის მონკავშირის“ წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
26. საზამთროსა და ბადრიჯნის ზღვრული შესასყიდი და საცალო ფასების დამტკიცების შესახებ.
27. თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ.
28. ქ. ქუთაისის სამთო ტექნიკუმის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმად გარდაქმნის შესახებ.
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
30. მოსაპირკეთებელი კერამიკის ფილების საბითუმო ფასების შესახებ.
31. იხ. 1978 წლის 20 აპრილის № 231 დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

16 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის შესახებ[1]

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო გარდაიქმნა ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ. შეიქმნა დარგობრივი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანებანი.

მართვის რაიონული რგოლის განმტკიცების მიზნით 1974 წელს აბაშის რაიონში ცდის წესით სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა აბაშის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანება.

აბაშის გაერთიანების მუშაობის გამოცდილებას დადებითი შედეგები მოჰყვა და ხელი შეუწყო ტერიტორიული ორგანოების როლის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის მართვაში, იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შეთანხმებასა და კოორდინაციაში, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან. მაგრამ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეს ფორმა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ რაიკომებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და რეგიონების თავისებურებათა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებისა და მათი წარმოების გათვალისწინებით გარდაიქმნას ცდის წესით სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოები რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებად, № 1 დანართის თანახმად, იმ ვარაუდით, რომ მათი შენახვა მოხდეს მეურნეობათა ანარიცხების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს, რომ:

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა შემადგენლობაში შედიან რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ჩამოთვლილია № 2 დანართში, კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებები (საწარმოები) და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სამსახურები;

— რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებში რჩება სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებში მოქმედი შრომის ანაზღაურებისა და პრემირების პირობები, უპირატესობანი და შეღავათები.

მიენიჭოთ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს საწარმოო-სამეურნეო ფუნქციები გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან.

3. დაეკისროთ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მაქსიმალური გადიდება და მათი ხარისხის გაუმჯობესება კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ამაღლების გზით;

— სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდება წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირების, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების საფუძველზე;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა;

— მიწათმოქმედების კულტურის ყოველმხრივი ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალური და ყაირათიანი გამოყენების უზრუნველყოფა;

— რაიონის სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობების ეკონომიკური პირობების გათანაბრება;

— იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადს გადამუშავებას და ასრულებენ სპეციალიზებულ სამუშაოებსა და მომსახურებას სოფლის მეურნეობისათვის;

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება;

— კაპიტალურ დაბ:ნდებათა რაციონალური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და სრულად გამოყენების უზრუნველყოფა;

— დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვაში ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლება;

— სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისა და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

— მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, შრომის ყველაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო პირობების შექმნა.

4. № 3 დანართში ჩამოთვლილი საბჭოთა მეურნეობები უშუალოდ დაექვემდებარონ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, შტატებისა და ხარჯების შესაბამისი გადიდებით.

5. რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა და სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა დაქვემდებარებაში საბჭოთა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და მოაწყოს სამუშაოზე ტრესტების გაუქმებასთან დაკავშირებით განთავისუფლემევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.
მეურნეობების გადაცემასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში მოაწყოს სამუშაოზე ტრესტების გაუქმებასთან დაკავშირებით განთავისუფლებული მუშაკები.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოს შექმნა.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო და სხვა კოოპერაციულ საწარმოებს (ორგანიზაციებს) და ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს (ორგანიზაციებს), აგრეთვე იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან, შევიდნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოს წევრებად, სამეურნეო დამოუკიდებლობისა და იურიდიული პირის უფლებების შენარჩუნებით.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე ამავე დროს არის ზემოაღნიშნული საბჭოს თავმჯდომარე და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად იმ მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც დარჩნენ რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებათა უშუალო დაქვემდებარებაში;

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების, მისი საბჭოსა და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს დროებით დებულებათა პროექტები;

— ჩაის, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტების გაუქმებასთან და მუშაობის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნას თავის აპარატში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოები, იმ ვარაუდით, რომ სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატები გადიდდეს 60 ერთეულით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროთა ცენტრალური აპარატის შტატები — 6-6 ერთეულით, აგრეთვე გაიზარდოს სამსახურებრივი მივლინებებისათვის, საკანცელარიო და საფოსტო-სატელეგრაფო საჭიროებისათვის, მსუბუქი სამსახურებრივი ავტომობილების შენახვისათვის მათი ხარჯების ლიმიტები.

8. რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებები შეიქმნას, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების ცენტრალური აპარატის შტატები გადიდდეს მმართველობის ორგანოების რიცხოვნობის, ხელფასის ფონდის, საბიუჯეტო ასიგნებებისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სისტემებისათვის.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ შესაბამისი დასაბუთებითურთ.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვა, რათა:

— შეიქმნას რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში, ავტონომიური რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის სამინისტროებში და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ეკონომიკური სტიმულირების შემდეგი ცენტრალიზებული ფონდები:

მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

მატერიალური წახალისების ფონდი;

— გავრცელდეს რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა მუშაკებზე საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკებისათვის მოქმედი თანამდებობრივი სარგოების სქემები;

— გავრცელდეს რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებზე, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებზე პრემირების ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მუშაკებისათვის;

— დაავალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დააწესოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებისათვის საქართველოს სსრ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა მიკუთვნების მოცულობითი მაჩვენებლები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 ქ. კ. მაღალაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ფერმწერის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს მხატვართა კავშირმა გამოყოს მემორიალური დარბაზი „მხატვრის სახლში“ ქ. მაღალაშვილის ნაწარმოებთა ექსპოზიციის მოსაწყობად.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დადგას ქ. მაღალაშვილის ბიუსტი განსვენებულის საფლავზე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

3. მიენიჭოს ქ. მაღალაშვილის სახელი ერთ-ერთ ქუჩას ქალაქ თბილისსა და თელავში.

4. დაწესდეს ქ. მაღალაშვილის სახელობის თითო სტიპენდია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთათვის და თელავის ე. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთათვის, დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდების ფარგლებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს ქ. კ. მაღალაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 18 აპრილი, № 303

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 ქალაქ თბილისში გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის აგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს მხატვართა კავშირისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ დაიდგას გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი ქალაქ თბილისში ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე და მისი სკულპტურული პორტრეტი პოეტის სახლის წინ კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განახორციელოს ძეგლის დადგმასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 25 აპრილი, № 304

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შესაცვლელად იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის 29-ე პუნქტი, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ისეთ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ და მისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და საწარმოო ერთეულების საცხოვრებელი სახლები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 523 დადგენილების მე-9 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 6 მარტი, № 123

20 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა 1978 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსიდან ბალანსზე.

2. ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობას შეეცვალოს მიმართულება და ამიერიდან ეწოდოს ტეხურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

3. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შეუმცირდეს ტეხურის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობისათვის გეგმით გათვალისწინებული მუშათა რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი, ზღვრული ასიგნებანი და შესაბამისად გაუდიდდეს ისინი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

4. დაევალოს ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს 1978 წელს და შემდგომ წლებში რაიონის ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმების შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შესაბამისი ცვლილებანი შეიტანოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1978 წლისა და შემდგომი წლების გეგმებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 15 მარტი № 139

21 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურული სქემის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საერთო სარგებლობის სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობისადმი ქმედითი კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შექმნას სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს კონტროლისა და საპრეტენზიო მუშაობის არსებული განყოფილების ბაზაზე ავტოტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის კონტროლის დამოუკიდებელი სამმართველო 1978 წელს მმართველობის აპარატის შესანახად სამინისტროსათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 ივლისის № 522 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სტრუქტურულ სქემაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 15 მარტი, № 142

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობისათვის სახორცე-სარძეო მიმართულების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად არ შეისწავლა და გადაჭრა ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის მიმართულების დადგენის საკითხი. 1974 წლის მაისში მან წამოაყენა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე წინადადება ამ მეურნეობისათვის სარძეო-სახორცე მიმართულების დაბრუნების შესახებ, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ანაკლიის პირობებში აღნიშნული მეურნეობის ადრინდელმა — სახორცე მიმართულებამ არ გამოიღო სასურველი შედეგი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1974 წლის 14 აგვისტოს № 466 დადგენილებით ანაკლიის საბჭოთა მეურნეობას დაუბრუნა სარძეო-სახორცე მიმართულება. 1977 წლის ოქტომბერში ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში კვლავ შემოიტანა წერილი, რომელშიც ასაბუთებს, რომ ანაკლიის საბჭოთა მეურნეობაში ხელსაყრელი პირობებია სახორცე მეკამეჩეობისათვის და ითხოვს დაუბრუნდეს მას სახორცე-სარძეო მიმართულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომისა და ზუგდიდის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, და მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ანაკლიის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობას 1978 წლის აპრილიდან დაუწესდეს მეკამეჩეობაში სახორცე მიმართულება და მისთვის დაიგეგმოს კამეჩებისაგან ხორცის, ხოლო ძროხებისაგან ხორცისა და რძის წარმოება, ამ პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის დაწესებული გეგმის შეუცვლელად, და ამიერიდან აღნიშნულ მეურნეობას ეწოდოს ანაკლიის მეკამეჩეობის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი ანაკლიის საბჭოთა მეურნეობისათვის სახორცე-სარძეო მიმართულების დაწესებასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს მათი განხორციელება;

— ერთი თვის ვადაში დაუწესოს მეურნეობას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მათ შორის ძროხების) სულადობის გეგმა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 აგვისტოს № 466 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 20 მარტი, № 151

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების თანდართული სანიმუშო დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 მარტი, № 158

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების სახიმშუო დებულება

ზოგადი დებულებანი

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭო, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიაზე.

2. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება არის რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სტრუქტურული ქვედანაყოფი და თავის საქმიანობაში ექვემდებარება რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

მუშაობის ორგანიზაციის მეთოდიკის საკითხებში განყოფილება ხელმძღვანელობს აგრეთვე ზემდგომი საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მითითებებითა და რეკომენდაციებით.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება შედგება განყოფილების გამგისა და ინსტრუქტორებისაგან. განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს დანიშნავს და მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე.

განყოფილების ინსტრუქტორებს დანიშნავს და გაათავისუფლებს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

4. თავისი ფუნქციების განსახორციელებლად განყოფილება ეყრდნობა მუდმივ კომისიებს, დეპუტატთა ჯგუფებს, რაიონული, საქალაქო საბჭოების დეპუტატებს, საბჭოთა აქტივს და მუშაობს სახალხო დეპუტატთა რაიონულ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხვა განყოფილებებთან და სამმართველოებთან კონტაქტით.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ამზადებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საჭირო წინადადებათა და გადაწყვეტილებათა პროექტებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ახორციელებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეთა არჩევნებთან დაკავშირებით. დახმარებას უწევს სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციასა და ჩატარებაში;

ბ) „დეპუტატთა გაწვევის წესის შესახებ" კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის ორგანიზაციას;

გ) განაზოგადებს ამომრჩეველთა წინადადებებს, თხოვნებსა და განაწესებს, რომლებიც რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოვა სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში. რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთა დასკვნების საფუძველზე ამზადებს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, აწყობს ამომრჩეველთა განაწესების მიხედვით რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ღონისძიებათა გეგმების შესრულების კონტროლსა და შემოწმებას;

დ) მონაწილეობას იღებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიაზე შესატანი საკითხების მომზადებაში აღმასრულებელი კომიტეტის აპარატის სხვა მუშაკებთან ერთად.

რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიამდე არა უგვიანეს 10 დღისა შეატყობინებს დეპუტატებს და აცნობებს მოსახლეობას სესიის მოწვევის დროსა და ადგილს, აგრეთვე საბჭოს განსახილველად შესატან საკითხებს.

უზრუნველყოფს რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიაზე შესატანი საკითხების გამო სათანადო მასალების დროულად დაგზავნას დეპუტატებისათვის, სესიების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას.

განაზოგადებს აღმასკომის ხელმძღვანელთა დასკვნებს რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო, შეიტანს ამ შენიშვნებისა და წინადებების მიხედვით ღონისძიებათა გეგმების პროექტებს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

ე) ახორციელებს აღმასკომისა და მისი სამსახურების საქმიანობის საკითხების, რაიონული, საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებათა და ღონისძიებათა პროექტების განხილვას რაიონის, ქალაქის მოსახლეობის კრებებზე და მშრომელთა კოლექტივებში;

ვ) ხელს უწყობს დეპუტატებს, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებების, სამმართველოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს ამომრჩეველთა და მშრომელთა კოლექტივების წინაშე ანგარიშის ორგანიზაციაში, განაზოგადებს აღმასკომის ხელმძღვანელთა დასკვნებს ამ კრებებზე მოქალაქეთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო, მოუმზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ღონისძიებათა გეგმების პროექტებს მოქალაქეთა წინადადებების სარეალიზაციოდ;

ზ) მონაწილეობას იღებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიასა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე შესატანი იმ საკითხების მომზადებაში, რომლებიც რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას შეეხება;

თ) ამზადებს დეპუტატთა აზრსა და წინადადებებს, რაიონული, საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების შემადგენლობის შესახებ;

ი) უმზადებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წინადადებებს რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატებთან სასწავლო-მეთოდიკური მეცადინეობის ორგანიზაციის შესახებ, შეიტანს აღმასკომის განსახილველად რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატთა, ქვემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკთა სწავლების გეგმების პროექტებს, ახორციელებს ამ გეგმების შესრულებასთან დაკავშირებულ სათანადო მუშაობას;

კ) კონტროლს უწევს და ამოწმებს, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. აცნობებს რაიონულ, საქალაქო საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს ამ გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგებს;

ლ) აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების, აგრეთვე აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების წინადადებების საფუძველზე შეიმუშავებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის პერსპექტიული და მიმდინარე მუშაობის გეგმების პროექტებს და წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად;

მ) ამოწმებს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას და მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების, დეპუტატთა მიმართვების, განხილვის წესს, მშრომელთა ცალკეულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს;

ნ) ორგანიზაციულ-მეთოდიკურ დახმარებას უწევს სახალხო დეპუტეტთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოებს მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების, ამ საბჭოების დეპუტატთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით;

ო) იღებს ზომებს, რომ განმტკიცდეს და გაფართოვდეს რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის კავშირურთიერთობა მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანოებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს უწყობს მოქალაქეთა კრებების ჩატარებას სახლის კომიტეტების ამხანაგური სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით;

ბ) განაზოგადებს რაიონული, საქალაქო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგებს, დაწესებული ფორმების მიხედვით ამზადებს სტატისტიკურ ანგარიშებს, მიმოხილვებს, ცნობებს, ბარათებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე;

ვ) ინფორმაციებს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და დეპუტატების საქმიანობის შესახებ უგზავნის რაიონის, ქალაქის რადიოსა და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქციებს; ახორციელებს სხვა ღონისძიებებს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის საჯაროობის გასაფართოებლად;

რ) კონტროლს უწევს და ამოწმებს სოციალისტურ შეჯიბრებაში სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების ფართოდ ჩაბმასა და აქტიურ მონაწილეობას, განაზოგადებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ამზადებს წინადადებებს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

ს) ახორციელებს კონტროლს სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იმ საკანონმდებლო აქტების შესრულებისადმი, რომლებიც წარმართავენ მათს საქმიანობას;

ტ) ამზადებს აღმასრულებელი კომიტეტისათვის დასკვნებს სახალხო დეპუტატთა საბჭოს საქვეუწყებო ტერიტორიების ადმინისტრაციული დაყოფის ცვლილებათა შესახებ წინადადებების გამო.

6. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება მეთოდურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას უწევს მუდმივ კომისიებს, დეპუტატთა ჯგუფებს, რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რისთვისაც:

ა) ეხმარება რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატებს განახორციელონ თავიანთი საქმიანობა საარჩევნო ოლქებში, ხელს უწყობს დეპუტატთა და აქტივისტთა მაორგანიზებელი როლისა და აქტივობის ამაღლებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად;

ბ) ხელს უწყობს მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებსა და რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატებს:

— შეისწავლონ მოქალაქეთა აზრი და მოთხოვნილებანი, მოამზადონ მასალები რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიებისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებისათვის, უზრუნველყონ ამ ორგანოების გადაწყვეტილებათა, ამომრჩევლების განაწესებისა და საკუთარი რეკომენდაციების შესრულება;

— დაამყარონ და განახორციელონ საქმიანი კონტაქტები რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებთან და სამმართველოებთან;

— ჩააბან მათს საქმიანობაში საზიგადოებრივი აქტივი და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიწვიონ სხდომები, მოაწყონ შემოწმებანი და გააფორმონ დოკუმენ-ტაცია;

ბ) ახორციელებს მუშაობას, რათა განაზოგადოს და გაავრცელოს მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის დადებითი გამოცდილება სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დარგში.

მიმოიხილავს ქვემდგომი საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების ოქმებს.

სწავლობს და განაზოგადებს მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატების, სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას;

პერიოდულად ამზადებს დეპუტატებისა და აქტივისათვის საინფორმაციო მიმოხილვებსა და ცნობებს მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატებისა და აქტივისტების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ.

უგზავნის ზემდგომ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებს მასალებს რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

აწყობს რაიონული, საქალაქო საბჭოს „დეპუტატთა ოთახის“ მუშაობას, ამზადებს თემატიკურად შერჩეულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთების მასალებს საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, აკომპლექტებს ნორმატიულ და საცნობარო-სამართლებრივ ლიტერატურას რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატთა და აქტივისტთა დასახმარებლად;

დ) უზრუნველყოფს შეთანხმებულობას მუშაობაში და ხელს უწყობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების აქტივობის განვითარებას, წარმართავს რაიონული, საქალაქო საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობას სახლის კომიტეტებისა და ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

7. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს რაიონულ, საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფლებები

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით განყოფილებას უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ყველა განყოფილების, სამმართველოს, საქვეუწყებო დაწესებულების ან ორგანიზაციის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა (გადაწყვეტილებათა შესრულება, მოქალაქეთა მიღების წესი, მოქალაქეთა წინადადების, განცხადებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და საჩივრების განხილვა, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და სხვა), მიიღოს პრაქტიკული ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მიიზიდოს მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, დეპუტატები და აქტივი, რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სპეციალისტები აღმასკომის განყოფილებათა, სამმართველოთა და მეურნეობათა საქმიანობის შესასწავლად, რაიონული, საქალაქო საბჭოს სესიისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისათვის საკითხების მოსამზადებლად.

9. რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებათა შესრულების მიზნით განყოფილებას უფლება აქვს:

ა) მიიღოს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში საჭირო ცნობები, ახსნა-განმარტებანი, სტატისტიკური მასალები საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობის საკითხებზე;

ბ) განახორციელოს ინსტრუქტაჟი, მისცეს მეთოდიკური რეკომენდაციები მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და რაიონული, საქალაქო საბჭოს დეპუტატების, სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ;

გ) გაუგზავნოს რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებს წერილები და საინსტრუქტაჟო-მეთოდიკური მასალები ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მუშაობის ორგანიზაცია

10. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება მუშაობს რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმების შესაბამისად შედგენილი გეგმების მიხედვით.

11. რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე:

— ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას და უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

— შეაქვს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები რაიონულ, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე;

— ახორციელებს კონტროლს რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, რომლებიც საორგანიზაციო-საინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრუქტორო განყოფილებას შეეხება, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი;

— აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე, დეპუტატთა მიმართვებს, იღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

— ადგენს განყოფილების თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების პროექტებს, პერიოდულად სწავლობს განყოფილების ინსტრუქტორთა მუშაობის ორგანიზაციას, განაზოგადებს მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილებას და იღებს ზომებს ყველა ინსტრუქტორის საქმიანობის პრაქტიკაში მისი დანერგვისათვის;

— ხელს უწყობს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას განყოფილების საქმიანობაში.

24 „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოსა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მისი ქვედანაყოფების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 მარტის № 196 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოსა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მისი ქვედანაყოფების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 მარტის № 196 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. დადგენილების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „გარდაცვალების ცნობების გაფორმება“.

2. დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოს გაუწიოს ქორწინების სახლებს ახლად დაქორწინებულთა სურვილის გათვალისწინებით ყოველი სახის მომსახურება (საზეიმო ცერემონიალი, საბანკეტო დარბაზები, ტრანსპორტი, მაღაზია „საბედნიეროს“ ტალონები, საქორწინო ტანსაცმლის, ყვავილების, სუვენირების გაყიდვა; საპარიკმახერო და ფოტომომსახურება; საქორწინო მოგზაურობის მარშრუტის შემუშავება; თვითმფრინავისა და რკინიგზის ბილეთებზე შეკვეთების მიღება, სასტუმროებში ნომრების დაჯავშნა და სხვ.).

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუყონ ქორწინების სახლებში შესაფერი ადგილები საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოს წარმომადგენლებს ახლად დაქორწინებულთაგან შეკვეთების მისაღებად".

3. აღნიშნული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით თბილისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ თავიანთ გამგებლობაში ქორწინების სახლები — მმაჩის სარაიონთაშორისო განყოფილებები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 მარტის № 196 დადგენილების მე-3 პუნქტით გადაეცა ბალანსიდან ბალანსზე 1976 წელს დამტკიცებული შრომის გეგმებითა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებებითურთ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწესჩვეულებო სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

25 ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის" წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის" წესდება შეტანილი ცვლილებებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 თებერვლის № 57 დადგენილება „საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის" წესდების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 3 **აპრილი, № 178**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 3 აპრილის № 178
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის“

1. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების კავშირი, რომელსაც შემოკლებით „მონკავშირი“ ეწოდება, არის ნებაყოფლობითი მასობრივი, საზოგადოებრივი სპორტულ-სამეურნეო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ მონადირეთა და მეთევზეთა ყველა საზოგადოებას და მოქმედებს ამ წესდებით.

2. „მონკავშირის“, მასში გაერთიანებულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბუნების დაცვასა და მის რაციონალურ გამოყენებაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმას, სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის გონივრულად გაძღოლას, სამონადირეო ფაუნისა და თევზის რესურსების კვლავწარმოების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა განხორციელებას; აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღზარდონ კავშირის წევრები ბუნებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ამასთან ყოველნაირად განავითარონ სამონადირეო და სათევზაო სპორტი, როგორც ჯანმრთელ და ამტან მოქალაქეთა აღზრდის საშუალება, რომლებიც მზად იქნებიან შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის.

3. „მონკავშირი“ და მისი ორგანოები (რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო, სარაიონთაშორისო, რაიონული საბჭოები, აგრეთვე მათ გამგებლობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის ყველა უფლებით. დასახული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო და სათევზაო ფაუნის შენარჩუნების, მოშენების, კვლავწარმოებისა და გამდიდრების მიზნით აწყობს სამონადირეო და სათევზაო მეურნეობებს, აგრეთვე სანადირო და სათევზაო ბაზებსა და დამხმარე მეურნეობებს;

ბ) „მონკავშირის“ წევრთა შორის და მოსახლეობაში ეწევა ბუნების დაცვისა და სამონადირეო-სათევზაო სპორტის პროპაგანდას, აწყობს სემინარებს, მეცადინეობებს, ლექციებსა და საუბრებს ამ დარგში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, ნადირობის, სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის, სანადირო და სათევზაო მეურნეობის განვითარების საკითხებზე, დადგენილი წესით გამოსცემს ჟურნალებს, გაზეთებს, ბიულეტენებს, ცნობარებს, სამონადირეო და მეთოდიკურ ლიტერატურას, ალბომებს, პლაკატებსა და თვალსაჩინოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სხვა საშუალებებს, უშვებს კინოფილმებს „მონკავშირისა“ და მისი ორგანიზაციების საქმიანობაზე, აქვს მუზეუმი, კლუბები, ბიბლიოთეკები, მონადირეთა და მეთევზეთა კუთხეები;

გ) აწარმოებს სამონადირეო-სათევზაო ბაზების, მაღაზიების, დასასვენებელი სახლების, მონადირეთა სახლების, პანსიონატების, ტირების, ნავების გამქირავებელი სადგომების, სასროლი სტენდებისა და სხვა საწარმოო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობას, იძენს, განასხვისებს და ქირაობს სხვადასხვა სამონადირეო და სასპორტო ინვენტარის დამამზადებელ და შემკეთებელ საწარმოთა შენობა-ნაგებობებს;

დ) ახორციელებს იურიდიულ და კოლექტიურ წევრთა, მონადირეთა, მეთევზეთა და სხვათა მომარაგებას საჭირო სპეციალური ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, სანადირო, სათევზაო და სხვა სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობით, ტყვია-წამლით, ბიოლოგიური საქონლით, ხსნის ბაზებსა და მაღაზიებს მათ გასასაღებლად;

ე) სამონადირეო-სამეურნეო და სპორტულ ღონისძიებათა განსახორციელებლად მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით აწყობს სანადირო-სასროლო მასალის, მონადირისა და მეთევზის დანების, ვაზნების, სამიზნე თეფშების, პოლიეთილენის საცობებისა და სხვა საქონლის, კაპრონის სათევზაო ჩანთების, ნემსკავების, სხვადასხვა სახის სათევზაო ბადეების და მისი მასალის, კაპრონის ძაფების, მგალობელ ფრინველთათვის გალიების, დეკორატიული თევზებისათვის აკვარიუმებისა და სხვა ზოოსაქონლის, მავთულბადის, კავკასიური ნაბდების, ფალასკების, ძაღლის საყელურების, ზურგჩანთების, თოფის შალითების, პაჭიჭების, რეზინის ჩუნების წარმოებას, ეწევა ბამბუკის დამზადებას და მისგან აწარმოებს საანკესე და თხილამურის ჯოხებს, სათევზაო ხელსაწყოებს, სუვენირებს, ჩაის საკრეფ კალათებს, ცოცხსა და სხვა საქონელს, მაგარი ჯიშის ხის ნარჩენებისაგან უშვებს თოფის საკონდახეებსა და ხელის იარაღების (ნაჯახის, ჩაქუჩის, ქლიბის და სხვა) ტარებს, გააშენებს ბამბუკის პლანტაციებს, ხსნის საამკინძაო საამქროებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ როგორც მონადირეებსა და მოსახლეობას, ისე ორგანიზაციებს, სამონადირეო-სათევზაო, სპორტული ინვენტარისა და ფირნიშების დამამზადებელ საწარმოებს, სანადირო და სპორტული იარაღების შემკეთებელ სახელოსნოებს, საბილიარდოებს, პნევმატიკურ ტირებს, ქმნის ზოობაზებს, აწყობს მებოცვრეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის დამხმარე მეურნეობებს, ღორის მოსაშენებელ და გასასუქებელ პუნქტებს, აწარმოებს სამედიცინო წურბელების მოშენებასა და დამზადებას, საჭიროების მიხედვით ქმნის მტვირთავ მუშათა ბრიგადებს, რომლებითაც მომსახურებას უწევს როგორც სამონადირეო მეურნეობებსა და მონადირეებს, ისე სხვა კოლექტიურ წევრ დაწესებულება-ორგანიზაციებს, ეწევა ბეწვეულის, ქურქეულის, ნადირის ხორცის, გარეული ხილის დამზადებას, მისთვის მიჩენილ წყალსატევებში თევზის მოშენებასა და ჭერას.

ვ) ამზადებს კადრებს სამონადირეო და სათევზაო მეურნეობებისათვის, ნადირ-ფრინველისა და თევზის მოშენების, მეძაღლეობისა და სასროლო სპორტისათვის, აწყობს სკოლებსა და კურსებს, ეგერების, ინსპექტორების, ნადირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მცოდნეების, სასტენდო და სათევზაო სპორტის მსაჯებისა და მეძაღლეობის ექსპერტ-მსაჯების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ზ) „მონკავშირი“, მასში გაერთიანებული საზოგადოებანი და ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ფართო დემოკრატიულ საწყისებზე, საზოგადოების წევრთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარების, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობისა და საზოგადოების წევრთა წინაშე მათი ანგარიშგების საფუძველზე;

თ) აერთიანებს კავშირის წევრებს პირველადს ორგანიზაციებში და მათ შორის ეწევა სისტემატურ მუშაობას სამონადირეო და სათევზაო მეურნეობისა და სპორტის განვითარებისათვის;

ი) აწყობს დამზადების პუნქტებს ნადირობისა და მეთევზეობის პროდუქციის დასამზადებლად, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებას;

კ) აწყობს სანადირო ძაღლების საგეშ პუნქტებს, გამოფენებს, საველე გამოცდებსა და შეჯიბრებებს, აწარმოებს სანადირო ძაღლების რესპუბლიკურ საჯიშე წიგნს;

ლ) ეწევა მუშაობას მავნე მტაცებელ ნადირ-ფრინველის რაოდენობის რეგულირებისათვის;

მ) ეწევა ნადირობისა და თევზჭერის ვადებისა და წესების დაცვის პროპაგანდასა და ბრძოლას ამ წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ხელფასიანი ინსპექტორებისა და საზოგადოების წევრთა მეშვეობით;

ნ) აწყობს სასპორტო სტენდებსა და შეჯიბრებებს სანადირო და სათევზაო სპორტში, სასტენდო და სატირო სროლაში; აწარმოებს საზოგადოების წევრთა მომზადებას სპორტულ სათანრიგო ნორმების ჩასაბარებლად; სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში, რომლებსაც აწყობენ ფიზკულტურული და სხვა ორგანიზაციები, მონაწილეობას იღებს მხოლოდ „მონკავშირის“ სახელით; აძლევს დიპლომებს, ჯილდოებს, ანიჭებს და სათანადო ორგანიზაციებს წარუდგენს სანადირო და სათევზაო სპორტის საუკეთესო სპორტსმენებს სპორტული თანრიგის მისანიჭებლად და სხვა;

ო) კონტროლსა და ინსტრუქტაჟს უწევს თავისი იურიდიული და კოლექტიური წევრების საქმიანობას.

4. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონულ საზოგადოებებს და მათში შემავალ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირს, უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით შეიძინონ, განასხვისონ და იჯარით აიღონ ქონება, გახსნან და დახურონ ანგარიშები სსრ კავშირის საკრედიტო დაწესებულებებში, დადონ ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, გასცენ მინდობილობანი, იძიონ და პასუხი აგონ სასამართლოში და სახელმწიფო არბიტრაჟში.

5. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები წარმოებს ღია კენჭისყრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს „მონკავშირს“ აქვს ალამი, ემბლემა და მრგვალი ბეჭედი, ხოლო საზოგადოებებს — მრგვალი ბეჭედი.

7. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრი — 16 წლის ასაკიდან.

8. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრად მიღება ხდება ინდივიდუალური წესით ერთი წლის სავალდებულო საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ. როგორც კანდიდატის, ასევე წევრის მიღება წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივის ან საზოგადოების გამგეობასთან არსებული კომისიის მიერ სავალდებულო სამონადირეო მინიმუმის ცოდნის შემოწმების შემდეგ და სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე.

14-18 წლის ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ კავშირის წევრები, შეიძლება ჩაირიცხონ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების ჭაბუკთა სექციაში, სადაც ისინი იძენენ სავალდებულო ბიოლოგიურ, სამონადირეო და სათევზაო ცოდნას და მონაწილეობენ ფაუნის დაცვისა და კვლავწარმოების საქმეში.

კავშირის წევრობის კანდიდატი-მონადირეები იხდიან შესასვლელ შესატანს 20 მანეთსა და წლიურ საწევრო გადასახადს 5 მანეთს, ამასთან კანდიდატობის პერიოდში არ იხდიან საბაჟო შესატანს. კავშირის წევრი-მონადირეები იხდიან საწევრო შესატანს 5 მანეთს და დაწესებულ სახელმწიფო ბაჟს, ხოლო მოქალაქენი, რომელთაც სურთ გახდნენ კავშირის წევრები და მხოლოდ ითევზაონ ნადირობის უფლების გარეშე, იხდიან შესასვლელ შესატანს 3 მანეთს და ყოველწლიურ საწევრო გადასახადს 3 მანეთს.

კავშირის ის წევრები, რომლებიც სამამულო ომის ინვალიდები არიან, იხდიან შესასვლელისა და საწევრო შესატანის 50 პროცენტს.

„მონკავშირის“ კოლექტიურ წევრებად შეიძლება იყვნენ სახელმწიფო საწარმოები (მათ შორის საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებანი), დაწესებულებები და ორგანიზაციები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, კოოპერაციული (მათ შორის კოლმეურნეობანი, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კოლექტიური წევრების დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს „მონკავშირის“ საბჭოს პლენუმი.

კოლექტიური წევრები იხდიან შესასვლელ შესატანს 50 მანეთსა და ყოველწლიურ საწევრო გადასახადს 50 მანეთს.

9. „მონკავშირის“ წესდებისა და ნადირობის (თევზჭერის) წესების დამრღვევ მონადირეთა და მეთევზეთა მიმართ, დარღვევის ხასიათის მიხედვით, ამხანაგური სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები: გაფრთხილება, საზოგადოებრივი გაკიცხვა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ნადირობის უფლების ჩამორთმევა ერთ წლამდე და კავშირის წევრობიდან გარიცხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის აქტიურ წევრებს მათი ... სების მიზნით შეიძლება გამოეცხადოთ მადლობა, დაჯილდოებულ იქნენ სიგელებით, პრიზებით, ფასიანი საჩუქრებით და „მონკავშირის“ საბჭოს პლენუმის დადგენილებით მიენიჭოთ „საპატიო მონადირის“ წოდება.

11. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრები სარგებლობენ დადგენილი ნიმუშის სანადირო და მოხალისე მეთევზის ბილეთით, რომელსაც ძალა აქვს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

12. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირიდან წევრის გარიცხვა ხდება პირველადი კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებით და საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, ხოლო სადაც პირველადი კოლექტივი არ არის, სათანადო მონადირეთა საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, კავშირის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლებით.

13. ის მონადირეები და მოხალისე მეთევზეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გადაიხდიან საწევრო გადასახადს მათთვის დაწესებული რეგისტრაციის ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ჩაითვლებიან მექანიკურად გასულად. საზოგადოებიდან გასული წევრი მოვალეა გაფრთხილებისთანავე დაუყოვნებლივ ჩააბაროს სანადირო თოფები „მონკავშირის“ მაღაზიას საკომისიო წესით რეალიზაციისათვის, სანადირო თოფების ნებაყოფლობით ჩაუბარებლობის შემთხვევაში თოფების ჩამორთმევა მოხდება მილიციის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. ჩამორთმეული თოფები რეალიზაციისათვის გადაეცემა „მონკავშირის“ მაღაზიებს და მიღებული თანხა, საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით, მიეცემა თოფის ყოფილ მფლობელს.

14. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებიდან გარიცხულ, მექანიკურად გასულ და აგრეთვე ნებაყოფლობით გასულ პირებს საწევრო შენატანები არ უბრუნდებათ.

15. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრებს უფლება აქვთ:

ა) აირჩიონ და არჩეულ იქნენ „მონკავშირის“ ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) ისარგებლონ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის მიერ დადგენილი წესებით, სანადირო და სათევზაო მეურნეობებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, აგრეთვე „მონკავშირის“ სისტემის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოებით;

გ) მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, გამოფენებში, კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებენ „მონკავშირი“ და მასში შემავალი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებანი.

16. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრები ვალდებულნი არიან:

ა) გასწიონ მოსახლეობაში მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდა;

ბ) ამ წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კავშირის მუშაობაში;

გ) დაიცვან ნადირობისა და თევზაობის წესები და ვადები;

დ) ბრაკონიერების წინააღმდეგ აწარმოონ აქტიური ბრძოლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მიიღონ საჭირო ზომები მავნე მტაცებელ ნადირ-ფრინველის რაოდენობის რეგულირებისათვის;

ვ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ გეგმით გათვალისწინებული ბეწვეულის ჩაბარების საქმეში და იბრძოლონ მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ზ) საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გამოცვლის შემთხვევაში თავის დროზე მოიხსნან აღრიცხვიდან და ახალ ადგილზე მისვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა გატარდნენ აღრიცხვაზე სათანადო მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობაში;

თ) თავის დროზე გადაიხადონ საწევრო გადასახადი და აგრეთვე რეგისტრაციაში გაატარონ სანადირო თოფი, სანადირო დანა, ხანჯალი და სანადირო ძაღლი;

ი) წარუდგინონ სანადირო და მოხალისე მეთევზის ბილეთი იმ პირთ, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის გაძღოლისადმი კონტროლი და ზედამხედველობა. მონადირეთა და მოხალისე მეთევზეთა ბილეთების ურთიერთ მოთხოვნის შემთხვევაში ბილეთის წარდგენა სავალდებულოა ყველა მონადირისა და მოხალისე მეთევზისათვის.

17. საზოგადოების იურიდიულ წევრად შეიძლება იყოს რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები.

18. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის შემადგენლობაში ახალი იურიდიული პირის წევრად მიღების საკითხს განიხილავს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი და წარმოუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად, რომელიც თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს ყრილობას.

19. რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს, რომლებიც შედიან „მონკავშირის“ იურიდიულ წევრებად, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვთ წერილობითი განცხადება, რომელსაც თან ერთვის საზოგადოების წევრთა საერთო კრების ან კონფერენციის დადგენილება ამ საკითხზე.

20. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს, რომლებიც „მონკავშირში“ შედიან, შეაქვთ შესასვლელი შენატანები და სპეციალური ანარიცხები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობა.

21. „მონკავშირის“ იურიდიული წევრები მოვალენი არიან:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ფართოდ ჩააბან მონადირეები და მეთევზეები იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც „მონკავშირი“ აწყობს წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) მტკიცედ დაიცვან „მონკავშირის“ წესდება, დროულად შეასრულონ მისი საბჭოს დადგენილებანი, მითითებანი და დავალებანი;

გ) წარუდგინონ „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმს, მის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების მიხედვით, ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საჭირო ცნობები და მასალები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაუბრკოლებლად დაუშვან „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის ერ დანიშნული რწმუნებულები მათი მეურნეობებისა და საწარმოების საქმიანობის შესამოწმებლად და კონტროლისათვის;

ე) დროულად აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს მათი გამგეობის შემადგენლობაში მომხდარი ყველა ცვლილება;

ვ) წინასწარ აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს იმ კრებების ან კონფერენციების მოწვევის შესახებ, რომელზეც განიხილება საზოგადოების გამგეობის გადარჩევის საკითხი.

22. „მონკავშირის“ იურიდიული წევრები მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე და უფლება აქვთ:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ „მონკავშირის“ საქმიანობაში;

ბ) მიიღონ „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმისაგან კონსულტაცია, ფინანსური, იურიდიული, მატერიალური და სხვა დახმარება სამონადრეო მეურნეობისა და სარეწების ორგანიზაციის გაუმჯობესება-განვითარებისათვის და სამონადირეო საქმესთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად;

გ) თავიანთი წევრების მომარაგების მიზნით შეიძინონ „მონკავშირისაგან“ სანადირო თოფები, სანადირო ტყვია-წამალი, საჭურველი, ნადირობისა და თევზაობის მოწყობილობა, მასალები და სხვა სპორტული საქონელი;

დ) თავიანთი წევრების უკეთ მომსახურების მიზნით სანადირო და სათევზაო სპორტინვენტარი და მოწყობილობა შეიძინონ აგრეთვე სხვა ორგანიზაციებშიაც;

ე) გამოიყენონ „მონკავშირის“ ძაღლსაგეში პუნქტი ჯიშიანი ძაღლების დასაგეშად;

ვ) გამოიტანონ დადგენილებანი და შეიტანონ „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად მთლიანად რესპუბლიკაში და აგრეთვე ცალკეულ სამონადირეო და მეთევზეთა მეურნეობებში სანადირო და სათევზაო საქმის გაუმჯობესების საკითხები.

23. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის“ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრთა ყრილობა, რომელიც იწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ, ყრილობის დელეგატებს ირჩევენ ღია კენჭისყრით რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციებზე (კრებებზე).

ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ნორმებს აწესებს „მონკავშირის“ საბჭო.

24. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობები შეიძლება იყოს:

მორიგი ან საგანგებო, რომლებსაც იწვევენ „მონკავშირის“ საბჭოს გადაწყვეტილებით, სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან „მონკავშირის“ წევრთა განცხადებით, რომლებიც წარმოადგენენ „მონკავშირში“ გაერთიანებულ მონადირეთა და მეთევზეთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთ მესამედს.

25. „მონკავშირის“ რესპუბლიკური ყრილობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) განსაზღვრავს შესასვლელ, საწევრო და სხვა შესატანების ოდენობას, როგორც თავისი იურიდიული, ისე კოლექტიური წევრებისათვის, აგრეთვე პირველადი ორგანიზაციების წევრი მონადირეებისა და მეთევზეებისათვის;

ბ) განიხილავს და შეფასებას აძლევს საბჭოს მუშაობას, ამტკიცებს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, ადგენს და ამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმისათვის მიცემულ განაწესს და განსაზღვრავს „მონკავშირის“ შემდგომი მუშაობის მიმართულებას;

გ) ანაწილებს მოგებას და ზარალის შემთხვევაში ადგენს მისი დაფარვის წყაროებს;

დ) აწესებს საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და ამხანაგური სასამართლოს წევრთა რიცხვს, ირჩევს მათს შემადგენლობას და, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს საკითხს ვადამდე მათი გადაყენების შესახებ;

ე) ამტკიცებს „მონკავშირის“ საბჭოს მიერ მიღებულ იურიდიულ წევრთა სიას;

ვ) განიხილავს და წყვეტს „მონკავშირისა“ და მისი იურიდიული წევრი საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხებს;

ზ) ამტკიცებს „მონკავშირის“ წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი. აგრეთვე ამტკიცებს დებულებას ამხანაგური სასამართლოების შესახებ.

26. „მონკავშირის“ იურიდიულ წევრებს წინასწარ ეგზავნებათ ცნობა მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელშიც აღინიშნება ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები.

ცნობა უნდა გაიგზავნოს ერთი თვით ადრე, მორიგი ყრილობის მოწვევამდე და 14 დღით ადრე, საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.

27. მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური ყრილობა ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედი.

ყრილობაზე საკითხების გადაწყვეტა ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, თუ ყრილობაზე მოვა დელეგატთა ორ მესამედზე ნაკლები, ყრილობა გადაიდება და მისი მოწვევა უნდა მოხდეს ხელმეორედ არა უადრეს ორი კვირისა.

28. ყრილობიდან ყრილობამდე „მონკავშირის“ საქმეთა საწარმოებლად რესპუბლიკური ყრილობა ირჩევს „მონკავშირის“ საბჭოს 95-105 კაცის შემადგენლობით. „მონკავშირის“ საბჭო ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს კავშირის უმაღლეს ორგანოს.

29. „მონკავშირის“ საბჭო:

ა) განიხილავს საკითხებს კავშირის წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ, გამოაქვს ეს საკითხები „მონკავშირის“ რესპუბლიკური ყრილობის განსახილველად და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) ამტკიცებს კავშირის მმართველობის აპარატის სტრუქტურას, წლიურ საფინანსო გეგმას, მათი შესრულების ანგარიშს და კავშირის ნაერთ ბალანსს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწარმოებს „მონკავშირის“ წევრ-საზოგადოებათა მიღებასა და გაწყვეტ-ცხვას და აგრეთვე მათს ლიკვიდაციას;

დ) განიხილავს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც შეაქვს საბჭოს პრეზიდიუმს;

ე) საბჭოს პლენუმის მოწვევა ხდება წელიწადში ორჯერ მაინც.

საბჭოს რიგგარეშე პლენუმი შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით. საბჭოს პლენუმი უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ორი მესამედი.

პლენუმის განსახილველი ყველა საკითხი წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

30. „მონკავშირის“ საქმიანობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის საბჭოს პლენუმი თავის შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს 11 კაცის რაოდენობით, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე ამტკიცებს იმ სექციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ყალიბდება „მონკავშირის“ საბჭოსთან.

31. „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმი წარმოადგენს საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ყრილობისა და საბჭოს პლენუმის დადგენილებებს, და ამავე დროს წარმოადგენს არბიტრს სოციალისტურ შეჯიბრებათა შედეგებისა და საზოგადოებებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტაში.

32. „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) ამტკიცებს დებულებას და ინსტრუქციებს, რომლებიც აწესრიგებენ კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს „მონკავშირის“ სანადირო და სათევზაო სავარგულების ორგანიზაციის სისტემას და მათი სარგებლობის წესს, შტატებსა და ხელფასის ფონდს, მუშაობის გეგმასა და ხარჯთაღრიცხვას;

გ) ამტკიცებს კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციის სამეურნეო ანგარიშებს, შტატებს, გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ბალანსებს;

დ) ამტკიცებს დებულებებს კონკურსების, შეჯიბრებათა და საერთო ხასიათის სასწავლო-სასპორტო ღონისძიებათა შესახებ „მონკავშირის“ ყველა ორგანიზაციისათვის;

ე) განაგებს „მონკავშირის“ ყველა საქმეს და საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ან მოადგილეების სახით არის მისი წარმომადგენელი დაწესებულებებთან ან კერძო პირებთან ურთიერთობაში;

ვ) ეწევა „მონკავშირში“ გაერთიანებული რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური სს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების წევრ მონადირეთა და მეთევზეთა, სანადირო იარაღისა და სანადირო ძაღლების აღრიცხვას;

ზ) იღებს, ინახავს და გასცემს „მონკავშირის“ კუთვნილ ან მისთვის მინდობილ ფასეულობებს და სხვა ქონებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ამ წესდების საფუძველზე იძენს, იჯარით იღებს და განასხვისებს ქონებას, იღებს სესხებს, იძლევა მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს ვადიან ვალდებულებებს, იძიებს და პასუხს აგებს სასამართლოსა და სახელმწიფო არბიტრაჟში.

33. „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმი ფართოდ იზიდავს თავის მუშაობაში მონადირეთა და მეთევზეთა აქტივს, ამ მიზნით საბჭოს პრეზიდიუმთან ყალიბდება დარგობრივი სექციები: კინოლოგიური (სანადირო მეძაღლეობისა), სასროლო-სასტენდო, მავნე მტაცებელ ცხოველებთან ბრძოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო, მეთევზეობის, ფაუნის დაცვის და სხვა.

სექციები მუშაობენ საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ დებულებათა და გეგმების საფუძველზე და მისი ხელმძღვანელობით.

34. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის 7 წევრი მაინც.

საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები იწვევა თვეში ერთხელ მაინც.

სხდომაზე საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ პრეზიდიუმის წევრი არ ეთანხმება უმრავლესობის დადგენილებას, მისი აზრი თავისი მოთხოვნით შეტანილ უნდა იქნეს ოქმში.

35. „მონკავშირის“ და შესაბამის საზოგადოებათა საბჭოს (გამგეობის) მუშაობის შესამოწმებლად ყრილობა, კონფერენცია (კრება) ირჩევს სარევიზიო კომისიას 7-15 კაცის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

სარევიზიო კომისია თავისი მუშაობისათვის პასუხს აგებს შესაბამისად ყრილობის, კონფერენციის (კრების) წინაშე და ანგარიშს აბარებს მას.

36. სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც:

ა) ამოწმებს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს, გამგეობის (პრეზიდიუმის) მთელ სამეურნეო-საფინანსო და სამონადირეო საქმიანობას;

ბ) ატარებს „მონკავშირის“ ყველა საწარმოში, საწყობსა და მაღაზიაში დოკუმენტურ რევიზიას;

გ) ამოწმებს „მონკავშირის“ ყრილობის, კონფერენციების (კრებების) დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას;

დ) თუ სარევიზიო კომისიის წევრს, რომელიც რევიზიის ჩასატარებლად გამოძახებული იქნება ძირითადი სამუშაოდან და ამასთან დაკავშირებით ადგილზე ხელფასი არ აუნაზღაურდება, მას ხელფასი მიეცემა საზოგადოების ხარჯზე ძირითადი სამუშაოს საშუალო ხელფასის (პენსიის) ოდენობით:

მივლინების დროს სარევიზიო კომისიის წევრებს მივლინების ხარჯები (დღიურები, ღამის გასათევი, ტრანსპორტი) შეიძლება აუნაზღაურდეს საზოგადოების ხარჯზე კანონის შესაბამისად.

— სარევიზიო კომისიას უფლება ეძლევა საჭიროების მიხედვით მოიწვიოს რევიზიის ჩასატარებლად სპეციალისტები, რომელთა შრომის ანაზღაურება მოხდება ზემოაღნიშნული წესის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან შესაბამისი გამგეობის (ზიდიუმის) სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

38. სარევიზიო კომისია, საჭიროების მიხედვით მართავს სხდომებს, თავის დადგენილებებს აცნობს საბჭოს პრეზიდიუმს.

39. თუ საბჭოს პრეზიდიუმი სარევიზიო კომისიის დადგენილების მიღების დღიდან მას ორი დეკადის ვადაში არ განიხილავს, — დადგენილება ითვლება მიღებულად სავალდებულო შესრულებისათვის.

40. საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებსა და შემოწმების მასალებს წარუდგენს ყრილობას (კონფერენციას, კრებას) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

41. იმ შემთხვევაში, თუ სარევიზიო კომისია საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობაში აღმოაჩენს ბოროტმოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა მოსთხოვოს საბჭოს საგანგებო ყრილობის, კონფერენციის (კრების) მოწვევა და ამის შესახებ აცნობოს ზემდგომ ორგანოებს.

42. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა ახლო ნათესავები და „მონკავშირის“ აპარატის მუშაკები.

43. იმ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში, რომლებშიც ითვლება არანაკლებ 100 მონადირისა და მეთევზისა, იქმნება მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები, რომლებსაც ეწოდება ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოება.

44. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის) ქალაქის, რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენცია (კრება), რომელსაც იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ.

45. კონფერენციის (კრების) მოწვევის დროს და კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებენ შესაბამისი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების საბჭოები საქართველოს „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

46. ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციები (კრებები) ღია კენჭისყრით ირჩევენ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების შესაბამის საბჭოებს, სარევიზიო კომისიებს, ამხანაგურ სასამართლოებს და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ყრილობის დელეგატებს.

47. რიგგარეშე კონფერენციის (კრების) მოწვევა, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები შეიძლება მოხდეს „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ან აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების საბჭოს ან მის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

48. კონფერენციათა შორის პერიოდში მონადირეთა და მეთევზეთა ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), საქალაქო, სარაიონათაშორისო, რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია ირჩევს საზოგადოების საბჭოს 35-45 კაცის შემადგენლობით, რომელიც კონფერენციებს შორის პერიოდში წარმოადგენს ამ საზოგადოების უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების საქმიანობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის საბჭოს პლენუმი თავის წევრებიდან ირჩევს გამგეობას 9-11 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიან საზოგადოების საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და გამგეობის წევრები, აგრეთვე ამტკიცებს იმ სექციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ყალიბდება საზოგადოების საბჭოსთან.

49. საბჭოს პლენუმის მოწვევა ხდება წელიწადში ორჯერ მაინც, ხოლო საბჭოს გამგეობის სხდომები ეწყობა თვეში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

50. ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობა წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, მისი უფლება-მოვალეობანი წესრიგდება ამ წესდების იმ მუხლებით, რომლებიც განსაზღვრავენ „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობებს.

51. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივები იქმნება სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, თუ იქ არის, სულ ცოტა 10 მონადირე და მეთევზე.

52. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კოლექტივის წევრთა საერთო კრება, რომელსაც იწვევენ 3 თვეში ერთხელ მაინც.

53. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივის პრაქტიკული მუშაობის გასაწევად ამ კოლექტივის საერთო კრებაზე ირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს.

54. პირველადი კოლექტივის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს ირჩევენ ღია კენჭის ყრით ერთი წლის ვადით.

კოლექტივის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით, ან საზოგადოების ზემდგომი ორგანოების დადგენილებით კოლექტივის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი შეიძლება გადარჩეულ იქნენ ვადამდე.

55. „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებაში ჩაირიცხება:

ა) „მონკავშირის“ საწევრო ანარიცხებიდან (შესასვლელი, საწევრო) შემოსული თანხების 20 პროცენტი;

ბ) საკუთარი საწარმოების, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების (რომლებიც უშუალოდ შედიან „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმში) მოგების თანხა;

გ) „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის შესანახად გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო საწარმოებიდან ანარიცხები, ფაბრიკა-ქარხნის პროდუქციის თვითღირებულებიდან შვიდი პროცენტი დადგენილი კალკულაციის მიხედვით.

56. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივი:

ა) აწარმოებს მოქალაქეთა შერჩევას და რეკომენდაციას უწევს მათ მო-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრად მიღებისათვის, და ატარებს მათთან აღმზრდელობითს მუშაობას;

ბ) აწარმოებს ბრძოლას მონადირეთა და მეთევზეთა შორის ანტისაზოგადოებრივი გამოვლენათა და ბრაკონიერთა წინააღმდეგ;

გ) აქტიურად ზრუნავს სამონადირეო და სათევზაო ფონდის კვლავწარმოებისა და დაცვისათვის;

დ) მონაწილეობს მტაცებელ ნადირ-ფრინველთა რაოდენობის რეგულირებაში;

ე) კონტროლს უწევს საწევრო ანარიცხების დროულად გადახდას;

ვ) აწყობს სამონადირეო და სათევზაო საქმის შესწავლას, ზრუნავს მონადირეთა და მეთევზეთა კულტურისა და სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ზ) იზიდავს საზოგადოების წევრებს კოლექტივის საქმიანობაში და უზრუნველყოფს მათ შრომითს მონაწილეობას მიწერილ სამონადირეო მეურნეობის განვითარების, დაცვისა და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების, აგრეთვე მეურნეობის კეთილმოწყობის საქმეში;

თ) ხელმძღვანელობას უწევს თავისი სექციების მუშაობას.

57. მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრებს ეძლევათ მოხალისე თევზმჭერთა ბილეთი. ბილეთს გასცემენ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის საზოგადოებები.

58. მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრებს უფლება აქვს ნებადართული საშუალებებით აწარმოონ თევზჭერა რესპუბლიკის ყველა წყალსაცავში, გარდა აკრძალული ადგილებისა.

59. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს შეუძლია ცალკეულ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას მიუჩინოს წყალსაცავები თევზის მოსაშენებლად. მოხალისე თევზმჭერებს უფლება აქვთ აწარმოონ თევზჭერა მიწერილ წყალსაცავებში ამ მეურნეობის ადმინისტრაციის ნებართვით.

60. მიწერილ წყალსაცავებში თევზის მარაგის საგრძნობლად მომრავლებისას, „მონკავშირს“ შეუძლია ნება დართოს აწარმოონ იქ სარეწაო თევზჭერა.

61. მონადირის ბილეთი ცვლის მოხალისე თევზმჭერის ბილეთს.

62. პირველადი კოლექტივების ორგანიზაციული, სამეურნეო-საფინანსო განმტკიცების მიზნით და აგრეთვე მიწერილ მეურნეობებში დაცვითი და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისათვის, პირველადს კოლექტივებს შეუძლიათ ზემდგომი საზოგადოების გამგეობის ნებართვით დახარჯონ საწევრო შემოსავალი 50 პროცენტამდე.

63. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივებს შეუძლიათ იქონიონ თავიანთი სანადირო და სათევზაო ბაზები, სასროლი სტენდები, მონადირეთა ოთახები და კუთხეები, გამართონ ლექციები, საუბრები, შეჯიბრებანი სანადირო და სათევზაო სპორტში თავიანთი კოლექტივების მასშტაბით, მოაწყონ კოლექტიური და ინდივიდუალური გასვლები სანადიროდ და სათევზაოდ, რისთვისაც შეუძლიათ შეიძინონ სანადირო და სათევზაო ქონება, სანადირო ძაღლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავტოტრანსპორტი — იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ სანადირო მეურნეობა.

64. კოლექტივს აქვს თავისი სამკუთხედი ბეჭედი მისთვის მიკუთვნებული ნომრით.

65. „მონკავშირის“ წევრ მონადირეთა და მეთევზეთა შორის დისციპლინის განმტკიცების მიზნით, შესაბამის გამგეობებთან არის ამხანაგური სასამართლოები, რომლებსაც 5-7 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა (კონფერენცია, კრება) ღია კენჭისყრით და რომლებიც მუშაობენ „მონკავშირის“ ყრილობის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, და ანგარიშს აბარებენ ყრილობას (კონფერენციას, კრებას), სასამართლო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. მონადირეთა და მეთევზეთა ამხანაგური სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი გამგეობის წევრი.

66. საქართველოს „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სახსრების წყაროს წარმოადგენს:

ა) წევრთა შესასვლელი შენატანები;

ბ) საწევრო ანარიცხები;

გ) მოგება სამეურნეო საქმიანობისაგან.

67. „მონკავშირის“ და საზოგადოებათა სახსრები იყოფა შემდეგ ფონდებად:

ა) ძირითადი ფონდი;

ბ) სათადარიგო ფონდი;

გ) სპეციალური ფონდი;

დ) კულტურული ფონდი;

ე) კადრების მომზადების ფონდი;

ვ) საპრემიო ფონდი;

ზ) ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.

68. ძირითადი ფონდი შედგება „მონკავშირის“ წევრთა შესასვლელი შენატანებისაგან და მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან.

69. სათადარიგო ფონდი იქმნება წმინდა მოგებისაგან და მისი დანიშნულებაა „მონკავშირის“ ოპერაციების შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა.

სათადარიგო ფონდს შესაბამისი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

70. სპეციალური ფონდი შედგება საწევრო შენატანის და წმინდა მოგების ანარიცხებისაგან. სპეციალური ფონდი შეიძლება დაწესდეს რესპუბლიკური ყრილობისა და „მონკავშირის“ საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის, მეძაღლეობის, სასროლ-სასტენდო სპორტის, ნადირთმოშენებისა და „მონკავშირის“ სხვა საქმიანობის ორგანიზაციისა და განვითარების მიზნით.

71. კულტურული ფონდი, კადრების მომზადების ფონდი, საპრემიო ფონდი და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი იქმნება წმინდა მოგების ანარიცხებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ფონდი გამოიყენება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის (საგამომცემლო, სალექციო, საბიბლიოთეკო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე).

კადრების მომზადების ფონდი გამოყენებულ უნდა იქნას ნადირობათმცოდნეთა, სასროლო-სასტენდო სპორტის, სანადირო მეძაღლეობისა და სხვა დარგების სპეციალისტების მოსამზადებლად.

72. საპრემიო ფონდი გამოყენებულ უნდა იქნას „მონკავშირის“ პრეზიდიუმის აპარატის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის აპარატის და მათი საწარმოების მოწინავე მუშაკების, სპორტსმენი მონადირეების, მეთევზეების, მესტენდე მსროლელების, სანადირო ჯიშიანი ძაღლების გამოზრდის საქმეში ხელისშემწყობ მოწინავე კინოლოგების და მონადირეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში.

73. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის გამოყენება ხდება „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმის, საზოგადოების გამგეობათა აპარატის მუშაკების მატერიალურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

74. შესასვლელი და საწევრო შენატანებისა და აგრეთვე ცალკეულ ფონდებში მოგების გადარიცხვისა და დარჩენილი მოგების გამოყენების ოდენობას განსაზღვრავს „მონკავშირის“ ყრილობა.

75. წმინდა მოგებას ანაწილებენ „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების საბჭოები.

76. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სამეურნეო მუშაობის შედეგად მიღებული ზარალი იფარება სათადარიგო ფონდიდან, ხოლო თუ იგი საკმარისი არ არის, ივსება ძირითადი ფონდიდან.

77. „მონკავშირი“ და მისდამი დაქვემდებარებული იურიდიული წევრები ანგარიშგებას აწარმოებენ ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ფორმებისა და წესების თანახმად.

78. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების საბჭოები ანგარიშს უდგენენ „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის გამგეობისადმი დაქვემდებარებული საქალაქო და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების საბჭოები ანგარიშს უდგენენ შესაბამის ზემდგომ საბჭოებს.

79. „მონკავშირის“ საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ცნობებს საოპერაციო წლის განმავლობაში „მონკავშირის“ მთელი საქმიანობის შესახებ, და იგი წარედგინება მთავრობის სათანადო ორგანოებს.

საანგარიშო წელი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

80. „მონკავშირისა“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს:

ა) ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ყრილობის (კონფერენციის, კრების) დადგენილებით;

გ) ზემდგომი შესაბამისი საბჭოს (პრეზიდიუმის) დადგენილებით;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არაშემძლედ იქნა აღიარებული.

81. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაციისა და მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მის ფონდებსა და ქონებას, მისდამი წარდგენილი პრეტენზიებისა და აღებულ ვალდებულებათა დაკმაყოფილების შემდეგ, ეძლევა დანიშნულება, რომელსაც აწესებს სალიკვიდაციო ყრილობა (კონფერენცია, კრება), სასამართლო ან მთავრობა.

82. ლიკვიდაცია ხდება სასპორტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ არსებული კანონების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. საზამთროსა და ბადრიჯნის ზღვრული შესასყიდი და საცალო ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს, მოყოლებული 1978 წლის მოსავლიდან, საზამთროსა და ბადრიჯნის შემდეგი ზღვრული შესასყიდი და საცალო ფასები:

(კაპიკობით ერთ კილოგრამში)

	შესასყიდი ფასი	საცალო ფასი
საზამთრო (დამზადების დაწყებიდან 1 აგვისტომდე)	20	25
1 აგვისტოდან	15	20
ბადრიჯანი (მთელ სეზონში) . . .	25	30

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი საზამთროსა და ბადრიჯნის ზღვრულ შესასყიდ და საცალო ფასებში მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 7 აპრილი, № 185

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ

საგვიანო ჯიშების თესლოვანი ხილის ახალი სახელმწიფო სტანდარტის (სახსტანდარტი № 21122-75) სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1978 წლის მოსავლიდან, საგვიანო ჯიშების თესლოვანი ხილის ახალი შესასყიდი ფასები, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს დადგენილი წესით თესლოვანი ხილის საცალო ფასები.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს აღნიშნული ხილის ახალი სახელმწიფო სტანდარტების დროულად დანერგვისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა იმ ვარაუდით, რომ ისინი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, მოყოლებული 1978 წლის მოსავლიდან.

4. თესლოვანი ხილის ახალი შესასყიდი ფასების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 23 აგვისტოს № 604 დადგენილება საგვიანო ჯიშების ვაშლისა და მსხლის შესასყიდი ფასების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 14 აპრილი, № 201

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 14 აპრილის № 201
დადგენილების დანართი

თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასები

კულტურის დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესასყიდი ფასი (მანეთობით 1 ტონაში)
საგვიანო ჯიშების ვაშლი	
1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე	
I პომოლოგიური ჯგუფი	
უმაღლესი ხარისხი	750
I ხარისხი	550
II ხარისხი	450
III ხარისხი	225
II პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	450
II ხარისხი	350
III ხარისხი	200
1 დეკემბერიდან	
I პომოლოგიური ჯგუფი	
უმაღლესი ხარისხი	790
I **ხარისხი**	660
II ხარისხი	540
III ხარისხი	270
II პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	540
II ხარისხი	420
III ხარისხი	240
საადრეთ ჯიშების ახალი მსხალი	
1 სექტემბრამდე	
I პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	550
II ხარისხი	400
II პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	450
II ხარისხი	300
საგვიანო ჯიშების ახალი მსხალი	
1 სექტემბრიდან	
I პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	660
II ხარისხი	480
III ხარისხი	200
II პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	540
II ხარისხი	360
III ხარისხი	150
მსხალი „კაიფერის თესლნერგი“ მთელ სეზონში	300

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 ქ. ქუთაისის სამთო ტექნიკუმის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და ქ. ქუთაისის სამთო ტექნიკუმი გარდაიქმნას სამთო-სამშენებლო ტექნიკუმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 აპრილი, № 213

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების („საქავტომოტომოყვარული") დებულებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების („საქავტომოტომოყვარული") დებულებას ეწოდოს საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების („საქავტომოტომოყვარული") წესდება.

2. მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დაეხმაროს საზოგადოების წევრებს როგორც თავისი ძალებით, ისევე..." და შემდეგ როგორც ტექსტშია.

3. მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტს დაემატოს წინადადება:

„საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები მონაწილეობენ სადისკვალიფიკაციო კომისიების მუშაობაში და ინდივიდუალური სარგებლობის ავტომოტოსაშუალებათა ტექნიკური დათვალიერების ჩატარებაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) აწყობს დადგენილი წესით ავტოსპორტულ კლუბებს, კურსებს (სკოლებს)...“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

5. მე-4 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) იძენს ქონებას და ფლობს მას, დადგენილი წესით ქმნის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობა შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს (ტექნიკური თვითმომსახურების პუნქტები, მოძრავი სახელოსნოები, გზებზე საზოგადოების წევრთათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად, ავტომობილის ნამუშევარი გაზების ტოქსიკურობის აღმოფხვრის საკონტროლო-სარეგულირებელი პუნქტები, სასწავლო თვალსაჩინოებათა სახელოსნოები და სხვ.), ახორციელებს თავისი სახსრების ხარჯზე ობიექტების მშენებლობას საზოგადოების წევრთა საჭიროებისათვის (სასწავლო ბაზები, ავტომობილის სადგომები და სხვ), ხელს უწყობს საზოგადოების წევრებს დადგენილი წესით საზოგადოების წევრთა მიერ გარაჟებისა და ავტომობილის სადგომების მშენებლობის კოოპერატივების ორგანიზაციაში, დადგენილი წესით ავტომობილის საბურავების შეძენაში და მათ რესტავრაციაში“.

6. მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საზოგადოების ყველა წევრს ეძლევა საწევრო ბილეთი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით, ხოლო ავტომობილებისა და მოტოციკლების მფლობელ წევრებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც ინდივიდუალური მფლობელობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მინდობილობით მართავენ, — საზოგადოებრივი გაფრთხილების ტალონები“.

7. მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შეიძლება მიენიჭოთ წოდება „საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საპატიო წევრი“, ამასთან იგი შეტანილ იქნება საზოგადოების საპატიო წიგნში და გადაეცემა შესაბამისი მოწმობა.

საზოგადოების საპატიო წევრის წოდებას მიანიჭებს საზოგადების ცენტრალური საბჭო.

ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების რაიონული (საქალაქო და სასოფლო რაიონების) საბჭოების თავმჯდომარეები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მუშაობის წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, არ დაუშვებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალურ მფლობელთა მიზეზით ჩადენილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის და სიმძიმის ზრდას წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით, ხოლო საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციები — საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

საზოგადოების იმ პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები, რომლებიც ითვლიან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელ 15 და მეტ წევრს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდებიან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით, თუ მოცემული პირველადი ორგანიზაციის წევრებს გასული წლის განმავლობაში არ დაუშვიათ არც ერთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

8. 25-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აირჩევს თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პრეზიდიუმის წევრები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით და პასუხისმგებელი მდივანი".

9. 26-ე პუნქტს დაემატოს წინადადება:

„ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც".

10. 28-ე პუნქტს დაემატოს წინადადება:

„პრეზიდიუმის სხდომები ჩატარდება კვარტალში ერთხელ მაინც".

11. 29-ე პუნქტს დაემატოს წინადადება:

„ცენტრალური სარევიზიო კომისია ჩაატარებს რევიზიებს წელიწადში ორჯერ მაინც".

12. 30-ე პუნქტს დაემატოს წინადადება:

„საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო(აო), საქალაქო და რაიონული საბჭოების პლენუმები მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო ამ საბჭოების პრეზიდიუმების სხდომები — ყოველთვიურად".

30-ე პუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭო ღია კენჭისყრით აირჩევს პრეზიდიუმს საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, პრეზიდიუმის წევრებისა და პასუხისმგებელი მდივნის შემადგენლობით".

13. 32-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„32. საზოგადოების წინაშე დასახული პრაქტიკული ამოცანების შესასრულებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელ 15 და მეტ წევრს ითვლიან, საერთო კრებებზე 2 წლის ვადით აირჩევენ საბჭოებს კრების მიერ განსაზღვრული წევრთა რაოდენობით".

14. 35-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„35. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ამ წესდების შესაბამისად და საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების დებულების, აგრეთვე საზოგადოების წევრთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე".

15. 43-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„43. შესასვლელი შენატანი საზოგადოების წევრობაზე წესდება 1 მანეთის ოდენობით, საწევრო ბილეთის ღირებულების ჩათვლით; საზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტიური წევრებისათვის შესასვლელი შენატანი წესდება 100 მანეთამდე ოდენობით, საწევრო ბილეთის ღირებულების ჩათვლით“.

16. 48-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„48. შემოსული საწევრო შენატანების თანხის 15 პროცენტი და შეკრებილი შესასვლელი შენატანების თანხის 40 პროცენტი გათვალისწინებულია საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კაბინეტებისა და კუთხეების მოწყობილობის, თემატური გამოფენების შეძენა და სხვ.);

შემოსული საწევრო შენატანების თანხის 30 პროცენტი და შეკრებილი შესასვლელი შენატანების თანხის 40 პროცენტი გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საზოგადოების საბჭოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, (ამ წესდებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გეგმების მიხედვით, ქონების, მოწყობილობის, სასწავლო ტრანსპორტის შეძენა და სხვ);

შემოსული საწევრო შენატანების თანხის 55 პროცენტი და შეკრებილი შესასვლელი შენატანების თანხის 20 პროცენტი, სასწავლო და სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავალი თავს მოიყრის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გამგებლობაში საზოგადოების მატერიალური ბაზის განვითარების დიდ ღონისძიებათა ცენტრალიზებული განხორციელების, აგრეთვე მუშაკთა ცენტრალური და პერიფერიული აპარატის (საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებსაც არა აქვთ დამოუკიდებელი ფინანსური მეურნეობა) შენახვისა და საზოგადოების საპრემიო ფონდის შექმნის მიზნით“.

17. 47-ე პუნქტს პირველ და მეორე აბზაცებს შორის დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საზოგადოების საწარმოები და ორგანიზაციები ბიუჯეტში შესატან საშემოსავლო გადასახადს გამოიანგარიშებენ საბალანსო მოგების თანხის დაწესებული განაკვეთების მიხედვით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 18 აპრილი, № 217

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მოსაპირკეთებელი კერამიკის ფილების საბითუმო ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და საქართველოს სსრ საშენ მასლათა მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოშვებული მოსაპირკეთებელი კერამიკის ფილების წარმოებისა და გაცემის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის თვითღირებულებაში დამატებით შედის ქაღალდის შესაფუთავის ნაცვლად ხის ყუთების დამზადების ღირებულება, ახალი ძირითადი ფონდების ამოქმედებით განპირობებული გადიდებული საამორტიზაციო ანარიცხები, გადავლების ნაცვლად გაფრქვევის მეთოდით ფილების ჭიქურით დაფარვის სამუშაოთა ღირებულება და სხვა ხარჯები, რამაც გამოიწვია კერამიკის ფილების თვითღირებულების გაძვირება, დამტკიცდეს 1 კვადრატული მეტრი აღნიშნული მოსაპირკეთებელი კერამიკის ფილების ახალი საბითუმო ფასები 1979 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ოდენობით:

თეთრი	I ხარისხისა	— 3 მანეთი და 80 კაპიკი;
თეთრი	II ხარისხისა	— 3 მანეთი და 40 კაპიკი;
თეთრი	III ხარისხისა	— 3 მანეთი;
ფერადი	I ხარისხისა	— 4 მანეთი და 30 კაპიკი;
ფერადი	II ხარისხისა	— 3 მანეთი და 80 კაპიკი;
ფერადი	III ხარისხისა	— 3 მანეთი და 40 კაპიკი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 აპრილი, № 222

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სრულყოფისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა ხორციელდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების, მაღალკვალიფიციურ დიპლომიან კადრებზე სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებათა უფრო სრულად და რაციონალურად დაკმაყოფილების მიზნით. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა სპეციალისტთა მომზადება იმ სპეციალობებში, რომლებშიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები წინათ მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ.

ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვის და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების აუცილებლობამ განაპირობა რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მთელ რიგ ახალ სპეციალობათა კადრების მომზადების ორგანიზაცია.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებასთან შედარებით საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადების უპირატესი ზრდის გზით ერთგვარად უმჯობესდება აღნიშნულ სპეციალისტთა გამოშვების თანაფარდობა.

ამასთანავე სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია. კადრების მომზადების დაგეგმვისას ყოველთვის სათანადოდ როდი ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიმართულებათა განვითარების თავისებურებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა დაკმაყოფილებულია სპეციალისტებით და თანამიმდევრულად იზრდება დიპლომირებულ სპეციალისტთა რაოდენობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანია, ერთი მხრივ, პრაქტიკოსები ხელმძღვანელ თანამდებობებზე და, მეორე მხრივ, წარმოებაში მუშებად დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტები. სამრეწველო საწარმოებში იმ პირთა რიცხვი, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ, მაგრამ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა თანამდებობები უკავიათ, აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა საერთო რაოდენობის 21 პროცენტზე მეტს შეადგენს, ამასთან მრეწველობაში დასაქმებულ სპეციალისტთა 22 პროცენტი მუშებად მუშაობს.

რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და უწყება არ იღებს საჭირო ზომებს სპეციალისტთა შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის. ჯერ კიდევ სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალობის მიხედვით არ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობს, ისეთი თანამდებობები უკავია, რაც სასწავლებელში მიღებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვს. უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მომუშავე აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ვეტერინართა და მეტყევეთა მხოლოდ 38 პროცენტია დასაქმებული უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დაახლოებით 14 პროცენტი კი მრეწველობაში, კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებში მუშაობს. სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად არ არიან დასაქმებული აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სპეციალისტები, პედაგოგები და სხვ.

სერიოზული ნაკლია ის, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები ზერელედ ეკიდებიან საშუალო კვალიფიკაციის კადრების გამოყენებას, არ სურთ შეცვალონ თანამდებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ტექნიკოსებით. გარდა ამისა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოქმედი საშტატო განრიგები მოძველდა და არ უზრუნველყოფს იმ თანამდებობათა ოპტიმალურ თანაფარდობას, რომლებიც უმაღლესი და საშუალო რგოლის სპეციალისტებს უნდა ეკავოთ.

ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა შორის დაუშვებელი თანაფარდობა, რომელიც შეადგენს 1:0,73-ს, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მაჩვენებელია 1:1,4.

სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის შემდგომი სრულყოფისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენების გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 27 იანვრის № 64 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 27 იანვრის № 64 დადგენილება „სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რესპუბლიკის საწარმოო ძალების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ამოცანების, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა პერსპექტივების გათვალისწინებით; რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებისას განახორციელონ სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების კომპ-

ლექსური დაგეგმვა შრომითი რესურსების ბალანსის გათვალისწინებით, ამასთან, პირველ რიგში უზრუნველყონ კადრებით სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი განვითარებადი დარგები და მსხვილი სამრეწველო ცენტრები.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის დარგობრივი მეთოდური მითითებანი, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ამ დარგების სპეციალისტებით დაკმაყოფილების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად.

4. ამ დადგენილების მე-3 პუნქტში ჩამოთვლილმა საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაამთავრონ მომზადება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად იმ თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურების წარმოდგენა, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს უნდა ეკავოთ, ამასთან ყურადღება დაუთმონ ინჟინერთა და ტექნიკოსთა რიცხოვნობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარების აუცილებლობას თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მიიღოს სამეცნიერო-საკონსულტაციო მონაწილეობა სამინისტროებისა და უწყებების მიერ თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურების შემუშავებაში.

5. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების დაგეგმვაში არსებული დისპროპორციების ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-ებმა და ორგანიზაციებმა:

— ძირეულად გააუმჯობესონ მიდგომა სპეციალისტებზე მოთხოვნილების წლიურ და პერსპექტიულ გაანგარიშებათა შემუშავების საქმისადმი;

— სპეციალისტებზე მოთხოვნილება აუცილებლად გაიანგარიშონ დაგეგ-მილი პერიოდისათვის შესაბამისი დარგის, ამა თუ იმ წარმოების განვითარების სხვა მაჩვენებლებთან დაკავშირებით;

— უზრუნველყონ სპეციალისტთა რაციონალური გამოყენება, ხელმძღვა-ნელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემადგენლობის გაუმ-ჯობესება სასწავლებელში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად;

— მიიღონ ზომები მუშებად მომუშავე დიპლომიან სპეციალისტთა დანიშ-ნულებისამებრ გამოყენებისათვის თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატუ-რების მოთხოვნების შესაბამისად; არ დაუშვან სპეციალისტთა მიღება ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც სპეციალურ განათლებას არ მოითხოვს;

— გააძლიერონ კონტროლი სპეციალისტთა შრომის ორგანიზაციის სრულ-ყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და საწარმოებში, ორგანიზაციებსა და და-წესებულებებში დანერგვისადმი, მიიღონ დამატებითი ზომები კადრების იდე-ურ-თეორიული და პროფესიული დონის ასამაღლებლად, უმაღლესი და საშუა-ლო სპეციალური სასწავლებლების კურსდამამთავრებელ ახალგაზრდა სპეცია-ლისტთა სტაჟირების გასაუმჯობესებლად;

— დააწესონ სისტემატური კონტროლი უმაღლესი და საშუალო სპეცია-ლური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა წარმოებაში შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენებისადმი.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, განახორციელონ ღონისძიებანი წარ-მოებისაგან მოუწყვეტლივ სპეციალისტთა მომზადების შემდგომი სრულყო-ფისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სა-მინისტრომ ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი სასწავლებლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ფილიალების ქსელის მოწესრიგების შესახებ.

7. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორ-განიზაციებმა გააძლიერონ დახმარება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მოსწავლე ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობისადმი, განამტკიცონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კავშირი წარმოებაში ახალგაზრდობის პრაქტიკულ მუშაობასთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 20 აპრილი, № 231

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 64

1978 წლის 27 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა განხორციელდა სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენებისათვის, მაღალკვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის განვითარების საქმეში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების ორგანიზაციაში. კადრების მომზადების დაგეგმვისას სუსტად ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის დარგების, მეცნიერების, ტექნიკის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ მიმართულებათა განვითარების თავისებურებებს. სპეციალისტთა მომზადების განაწილება საკმარისად არ შეესაბამება საწარმოო ძალთა დაჩქარებული განვითარების რაიონების, განსაკუთრებით ციმბირის, ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების მოთხოვნილებებს.

დამაკმაყოფილებლად არ არის შემუშავებული სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის ნორმატიული ბაზა, საჭირო შესაბამისობა არაა სპეციალობათა ნუსხასა და თანამდებობათა ტიპობრივ ნომენკლატურებს შორის. უმაღლესი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სპეციალური განათლების კადრებისა და კვალიფიციური მუშაკების მომზადების გეგმები საკმარისად არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

ბევრი სამინისტრო არ იღებს ჯეროვან ზომებს სპეციალისტთა შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალობის მიხედვით არ მუშაობს, ისეთი თანამდებობები უკავია, რაც მიღებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვს. რაციონალურად **არ** არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილი. აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და ვეტერინარიის მუშაკთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ ნახევარია დასაქმებული უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო **საწარმოებში.**

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა **მოქმ**ედ სამტატო განრიგებში უზრუნველყოფილი არაა იმ თანამდებობათა დასაბუთებული თანაფარდობა, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს უნდა ეკავოთ. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს შესაბამისი სპეციალური **განათლება.**

სსრ კავშირის მინისტრთა **საბჭო ა დ გ ე ნ** ს:

1. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უზრუნველყონ სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის პერსპექტივების შესაბამისად. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური, ხუთწლიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო გეგმების შემუშავებისას განახორციელონ სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშათა მომზადების კომპლექსური დაგეგმვა შრომითი რესურსების ბალანსის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ უმნიშვნელოვანესი დარგების, ინტენსიურად განვითარებადი რაიონებისა და სამრეწველო ცენტრების, მეცნიერებისა და წარმოების ახალ მიმართულებათა უზრუნველყოფას კადრებით.

2. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გაითვალისწინონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტში 1990 წლამდე პერიოდისათვის სპეციალისტთა მომზადებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების განლაგების კომპლექსური გეგმის შემუშავება სახალხო მეურნეობის დარგებისა და ეკონომიკური რაიონების, განსაკუთრებით ახლად შესაქმნელი საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად. დანერგონ სპეციალისტთა მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში კოოპერირება რესპუბლიკებსა, ეკონომიკურ რაიონებსა, სამინისტროებსა და უწყებებს შორის. გაითვალისწინონ სტუდენტთა სწავლების კონცენტრაცია იმ სასწავლებლებში, რომლებსაც ჰყავთ სათანადო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და აქვთ საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზა, არ დაუშვან ერთგვაროვან სპეციალობათა გახსნა სტუდენტთა მცირერიცხოვანი კონტინგენტებით რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

3. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1979 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის დარგობრივი მეთოდიკური მითითებანი, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების სპეციალისტებით დაკმაყოფილების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები. დაამთავრონ მომზადება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ იმ თანამდებობათა ტიპობრივი ნომენკლატურები, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს უნდა ეკავოთ, ამასთან ყურადღება დაუთმონ ინჟინერთა და ტექნიკოსთა რაოდენობის უფრო სწორი თანაფარდობის აუცილებლობას თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს საკვალიფიკაციო მახასიათებლები თითოეული სპეციალობისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გააძლიერონ მეთოდური ხელმძღვანელობა სამინისტროებისა და უწყებების მუშაობისადმი იმ მხრივ, რომ განსაზღვრონ მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნილება სპეციალისტებზე და შეიმუშაონ შესაბამისი ნორმატიული ბაზა, უზრუნველყონ მტკიცე კონტროლი ამ მუშაობის განხორციელებისადმი.

4. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადონ და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება ახალგაზრდა სპეციალისტთა სარესპუბლიკათაშორისო, საუწყებათაშორისო და პერსონალური განაწილების შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ აღნიშნულ დებულებაში მათი განაწილების სისტემისა და პრაქტიკის მოწესრიგება, საგეგმო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერება ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის, მათთვის სათანადო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ სპეციალისტთა რაციონალური გამოყენება, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემადგენლობის გაუმჯობესება კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების დონის მიხედვით. გააძლიერონ კონტროლი სპეციალისტთა შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დანერგვისადმი, მიიღონ დამატებითი ზომები კადრების იდეურ-თეორიული და პროფესიული დონის ასამაღლებლად, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების გასაუმჯობესებლად, სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში წარმოებაში მათი შენარჩუნებისათვის. დააწესონ სისტემატური კონტროლი სპეციალისტთა გამოყენებისადმი.

დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სახალხო მეურნეობის დარგებში სპეციალისტთა გამოყენების სახელმწიფო ინსპექტირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს და განაზოგადოს სამინისტროთა და უწყებათა მუშაობა სპეციალისტთა გამოყენების გაუმჯობესებისათვის და შედეგების შესახებ მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 იანვრამდე.

6. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ღონისძიებანი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სპეციალისტთა მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასწავლებელთა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ფილიალების ქსელის მოწესრიგებას. სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გააძლიერონ დახმარება საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, განამტკიცონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კავშირი წარმოებაში ახალგაზრდობის პრაქტიკულ მუშაობასთან. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მიღებული ზომებისა და შედეგების შესახებ მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 1 იანვრამდე.

7. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უზრუნველყოს სახალხო მეურნეობაში სპეციალისტთა გამოყენების ეფექტიანობის აღრიცხვის მაჩვენებლების სისტემის სრულყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად. შემოიღოს მიმდინარე ანგარიშგება ახალგაზრდა სპეციალისტთა სარესპუბლიკათაშორისო და საუწყებათაშორისო განაწილების გეგმების შესრულების შესახებ და დანიშნულების ადგილზე მათი ჩასვლის შესახებ, განახორციელოს 5 წელიწადში ერთხელ იმ მუშაკთა რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობისა და შემადგენლობის აღრიცხვა, რომლებსაც ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა თანამდებობები უკავიათ. აგრეთვე სხვა პირებისა, რომელთაც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება აქვთ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიხედვით.

8. დაევალოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კომპლექსური პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემათა შემუშავება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ინდექსი—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1978 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108[1]/16
საბეჭდი თაბახი 3,5 სააღრიცხვო თაბახი 3,5

შეკვეთა № 599 უე 01401 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

8 7/168

ეროვნული
ბიბლიოთეკა